353

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (54) 15 აგვისტო 1953 წელი

46

585

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

59. ბრძანებულება ქ. თბილისის ბერიას სახ. რაიონის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

60. ბრძანებულება ვ. გ. დეკანოზოვის მოხსნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი ბრძანებულების გაუქმების შესახებ.

62. ბრძანებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

63. ბრძანებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

64. ბრძანებულება ა. ნ. რაფავას მოხსნის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის პოსტიდან.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წ. 16 ნოემბრის ბრძანებულების გაუქმების შესახებ.

66. აფხაზეთის სსსრ ოჩამჩირის რაიონის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების მუშაობის შესახებ.

67. ბრძანებულება ამხ. ა. ნ. ინაურის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

69. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

70. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

59. ბრძანებულება ქ. თბილისის ბერიას სახ. რაიონის სახელწოდების შეცვლის შესახებ

შეიცვალოს ქ. თბილისის ბერიას სახელობის რაიონის სახელწოდება და ამ რაიონს ამიერიდან ეწოდოს მიხეილ ივანეს-ძე კალინინის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 9 ივლისი.

60. ბრძანებულება ვ. გ. დეკანოზოვის მოხსნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან

მოიხსნას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან დეკანოზოვი ვლადიმერ გიორგის-ძე მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 10 ივლისი.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი ბრძანებულების გაუქმების შესახებ

გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1. 1938 წლის 16 ნოემბრისა „საქართველოს სსრ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

2. 1939 წლის 23 ივნისისა „ტყვარჩელის რაიონული თბოელექტროსადგურისათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

3. 1939 წლის 23 აგვისტოსი „თბილისის ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკისათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 1940 წლის 3 ივნისისა „პოლიგრაფიული კომბინატის „კომუნისტი-სათვის“ ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

5. 1941 წლის 5 მაისისა „ქ. თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სახლისათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

6. 1941 წლის 22 მაისისა „ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

7. 1945 წლის 12 ოქტომბრისა „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნი-სათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

8. 1946 წლის 4 სექტემბრისა „ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 2 მაღაროსათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

9. 1947 წლის 13 თებერვლისა „ამბროლაურის კულტურის სახლისათვის ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 10 ივლისი.

62. ბრძანებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

გაუქმდეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი დადგენილებანი:

1. 1933 წლის 22 მაისისა „ხაშურის პოლიტექნიკური ათწლიანი სკოლისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

2. 1933 წლის 27 ნოემბრისა „ქ. თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

3. 1935 წლის 14 ივნისისა „წალენჯიხის ხმოვანი კინოსათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

4. 1936 წლის 15 აპრილისა „ბათუმის ჩაის მოწყობილობათა მანქანათ-მშენებელი ქარხნისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

5. 1936 წლის 15 აპრილისა „ყვირილის ხიდისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

6. 1936 წლის 20 ივნისისა „ქ. ქუთაისის № 5 არასრული საშუალო სკოლისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

7. 1936 წლის 20 ივნისისა „მარნის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშათა კლუბისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

8. 1936 წლის 29 ოქტომბრისა „ფოთის სახელმწიფო დრამატიული თეატრისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

9. 1936 წლის 29 ოქტომბრისა „ბათუმის ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 11 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. ბრძანებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

გაუქმდეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი დადგენილებანი:

1. 1933 წლის 14 თებერვლისა „აგარის შაქრის ქარხნისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

2. 1933 წლის 14 მარტისა „ზუგდიდის ჩაის ფაბრიკისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

3. 1933 წლის 27 სექტემბრისა „თბილისის ვაგონების შემკეთებელი ქარხნისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

4. 1933 წლის 29 ოქტომბრისა „ბათუმის ბუნებრივი საღებავების ქარხნისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

5. 1935 წლის 1 ივლისისა „ცხაკაიას პედაგოგიური ტექნიკუმისათვის ბერიას სახელის მინიჭების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 16 ივლისი.

64. ბრძანებულება ა. ნ. რაფავას მოხსნის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის პოსტიდან

მოიხსნას ავქსენტი ნარიკის-ძე რაფავა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის პოსტიდან მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 17 ივლისი.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 16 ნოემბრის ბრძანებულების გაუქმების შესახებ

გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 16 ნოემბრის ბრძანებულება „ქუთაისის აბრეშუმკომბინატისათვის ამხანაგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. მ. ბაქრაძის სახელის მიკუთვნების შესახებ“ და ქუთაისის აბრეშუმკომბინატს ამიერიდან ეწოდებოდეს საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის აბრეშუმკომბინატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 20 ივლისი.

1.

ᲪᲑ. აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების მუშაობის შესახებ

მოისმინა რა ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. არშბას მოხსენება და ამხ. ა. ჯულულხიძის თანამოხსენება ოჩამჩირის რაიონის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების უმრავლესობა ასრულებს დეპუტატობის მოვალეობას, ღებულობს აქტიურ მონაწილეობას საბჭოების სესიების მუშაობაში; ისინი მოწინავენი არიან და ითვლებიან მშრომელთა ორგანიზატორებათ საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებაში. საფერმენტაციო ქარხნის მუშა, დეპუტატი შ. გ. ნარმანია ყოველდღიურ გეგმებს 125—140 პროცენტით ასრულებს; სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობა „შრომის“ კოლმეურნე დეპუტატი გ. შ. ბობუა ჩაის კრეფის დაწესებული ნორმის 25 კილოგრამის ნაცვლად ყოველდღიურად 50 კილოგრამზე მეტ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფავს და აღებული აქვს ვალდებულება 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მოკრიფოს და ჩააბაროს სახელმწიფოს ექვსი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ამასთანავე ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ უწევენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს საჭირო დახმარებას დეპუტატობის მოვალეობის შესრულებაში, ამომრჩევლებთან კავშირის განმტკიცებასა და ორგანიზაციულ-მასიური მუშაობის გაშლაში.

მშრომელთა დეპუტატების ოჩამჩირის რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები არ უწევენ პრაქტიკულ დახმარებას დეპუტატებს ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩასაბარებლად, არ უზრუნველყოფენ მათ საბჭოსა და აღმასკომის მუშაობის სათანადო მასალებით, რის შედეგად საბჭოების არჩევნების დღიდან დეპუტატებს არ ჩაუბარებიათ ამომრჩევლებისათვის ანგარიში.

არჩევნების დროს, აგრეთვე ამომრჩევლებთან დეპუტატების შეხვედრისას, როგორც ოჩამჩირის საქალაქო, ისე ზოგიერთი სასოფლო საბჭოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასკომებს არ შეუგროვებიათ და არ ალურიცხავთ ამომრჩეველთა განაწესები, არა აქვთ აგრეთვე აღრიცხული საბჭოების სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები.

ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები არ ატარებენ დეპუტატებთან ლექცია-მოხსენებებს საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე.

რაიაღმასკომის შენობაში გამოყოფილი დეპუტატის ოთახი არ არის გამოყენებული ორგანიზაციულ-მასიური მუშაობის გასაშლელად, არ არის დაწესებული დეპუტატების მორიგეობა და ამომრჩევლების მიღების საათები, დეპუტატებს არა აქვთ სამუშაო გეგმები, რომლებიც მათ დაეხმარებოდათ მუშაობაში.

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საბჭოების ორგანიზაციულ-მასიურ მუშაობის გაშლის საქმეს, სათანადო დახმარებას არ უწევენ დეპუტატებს, არასაკმარისად აბამენ მათ საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაში და იშვიათად აწყობენ დეპუტატების თათბირებს მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ოჩამჩირის რაიონის მშომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. ა. გ. არშბა) მოკლე დროში გამოასწოროს რაიონის ადგილობრივ საბჭოების დეპუტატებთან მუშაობაში არსებული ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, რისთვისაც:

ა) ფართოდ ჩაბას დეპუტატები ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში რაიონის კულტურულ და სამეურნეო მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად, აამაღლოს მათი აქტიობა საბჭოების სესიების მომზადება-ჩატარებაში;

ბ) დეპუტატების მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით დააწესოს „დეპუტატის დღე“;

გ) აღმოუჩინოს დახმარება დეპუტატებს თავის უფლებათა განხორციელებაში — ამომრჩეველთა მიღებაში, მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვასა და მშრომელთა პირად საჭიროების გამოვლინებაში;

დ) გაუმჯობესოს მუდმივ კომისიებში დეპუტატების მუშაობა, მიაღწიოს იმას, რომ დეპუტატები მონაწილეობას ღებულობდნენ წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმებაში. აყენებდნენ საბჭოების სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე საკითხებსა და წინადადებებს, ანხორციელებდნენ კონტროლს საბჭოების სესიებისა და ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულების შემოწმებაზე;

ე) შეამოწმოს და მოაწესრიგოს ამომრჩეველთა განაწესების აღრიცხვა და შესრულება. ამ შემოწმების შედეგები და ღონისძიებანი განიხილოს საბჭოების სესიებზე;

ვ) რეგულარულად მოაწყოს დეპუტატების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე საბჭოების და აღმასკომების მუშაობის შესახებ ამომრჩევლების განაწესების შესრულებისათვის; საბჭოების სესიების ჩატარების შემდეგ აწარმოოს დეპუტატების შეხვედრა ამომრჩევლებთან საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაცნობად და იმისათვის, რომ დეპუტატები თავიანთ საარჩევნო ოლქების მოსახლეობას რაზმავდნენ ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის;

ზ) აღმოუჩინოს დახმარება ოჩამჩირის რაიონის და საქალაქო საბჭოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატებს ამომრჩევლების მიღებაში, რისთვისაც მოაწყოს ამ აღმასკომებში დეპუტატების ოთახები და უზრუნველყოს მათი საჭირო მასალებით და ლიტერატურით მომარაგება; დააწესოს დეპუტატთა ოთახებში დეპუტატების მორიგეობა და მიღების საათები.

2. დაევალოს ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ეს დადგენილება განიხილოს რაიონულ საბჭოს მორიგ სესიაზე და მიიღოს სათანადო ღონისძიებანი მისი ცხოვრებაში გასატარებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 21 ივლისი.

67. ბრძანებულება ამხ. ა. ნ. ინაურის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად

დაინიშნოს ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე ინაური საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 27 ივლისი.

68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1953 წლის 18 აგვისტოს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

69. მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში

მოისმინა რა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. ჩაკვეტაძის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორის ამხ. ა. ჯულუხიძის თანამოხსენება მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და მის განყოფილებებს გაწეული აქვთ ერთგვარი მუშაობა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვის საქმის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა მათ, ამ საქმეში ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი. არის შემთხვევები მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დაგვიანებისა. ადგილი აქვს გაზეთების რედაქციებიდან მიღებულ მოქალაქეთა წერილებზე პასუხის დაგვიანებით ან სრულიად არ გაცემის შემთხვევებს.

აღმასკომის ზოგიერთ განყოფილებაში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე მოუწესრიგებელია. სუსტია კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებაზე, როგორც აღმასკომში ისე მის განყოფილებებში. განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-შემოწმების საქმეში არ არიან სათანადოთ ჩაბმული საბჭოს დეპუტატები.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1952 წლის 1/I—31/VII მიუღია 1736 განცხადება-საჩივარი, აქედან 55 განცხადებაზე პასუხი გაცემულია 20 დღისა და მეტის დაგვიანებით, ხოლო 1953 წლის 1 იანვრიდან 31 ივლისამდე მიღებული 2203 განცხადება-საჩივრიდან — 11 განცხადებაზე. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში, სადაც 1953 წლის 1 იანვრიდან 31 ივლისამდე მიღებული 1004 განცხადებიდან ნახევარზე მეტი დაგვიანებითაა განხილული. განხილულ განცხადებებიდან კი 59 მოქალაქეს 20 დღისა და მეტის დაგვიანებით ეცნობათ პასუხი, ხოლო 52 მოქალაქისათვის პასუხი სრულიად არ უცნობებიათ. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაშიაც.

1953 წლის 12 იანვარს აღმასკომმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისაგან მიიღო მოქ. კიკვიძის განცხადება, რომელშიც ის უჩიოდა მექანიზებული აგურის ქარხნის ხელმძღვანელობას. რედაქცია სთხოვდა აღმასკომს წერილის შემოწმებასა და პასუხის შეტყობინებას. წერილის შემოწმება გაჭიანურდა 1953 წლის მაისამდე, პასუხი კი რედაქციას არ ეცნობა.

აღმასკომმა 1952 წლის 31 დეკემბერს „პრავდის“ რედაქციისაგან მიიღო მოქ. იაკობაშვილის წერილი, რომელშიც ის ჩიოდა სახლის დანგრევასთან დაკავშირებით სამაგიერო ბინის მიუცემლობაზე. წერილი შემოწმებული იქნა და „პრავდის“ რედაქციას პასუხი ეცნობა 5 დღის შემდეგ, ხოლო იაკობაშვილს კი სრულიად არ ეცნობა.

იმის შედეგად, რომ აღმასკომი თავის განყოფილებებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების ვადაზე განხილვის საქმეს სისტემატურად არ აკონტროლებს, აღმასკომის თავმჯდომარის რეზოლუციით გადაგზავნილ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადებებზე პასუხი სისტემატურად გვიანდება. კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში გადაგზავნილი 43 სხვადასხვა განცხადება დიდი დაგვიანებით იქნა შესრულებული და დაბრუნებული აღმასკომში.

კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ მოქ. ობოლაძეს, რომელმაც განცხადება შეიტანა 1953 წლის 13 თებერვალს, ფაქტიურად პასუხი აცნობა 7 აპრილს, ხოლო წიგნში აღნიშნულია, რომ მას პასუხი 15 თებერვალს გაეგზავნა, ამ თარიღისათვის კი განცხადება (თხოულობდა საკარმიდამო ნაკვეთში არსებული ნარგავების შეფასებას)—ჯერ შემოწმებული არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ აღმასკომს აქვს მთხოვნელთა მისაღები ოთახი და დაწესებულია მიღების საათები, მოქალაქეთა მიღების საათები ირღვევა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ამხ. ვ. ჩაკვეტაძე) უმოკლეს ვადაში გამოასწოროს ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და პასუხის გაცემის საქმეში, რისთვისაც:

ა) დააწესოს აღმასკომში და მის განყოფილებებში შემოსული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების ზუსტი აღრიცხვისა და განხილვის წესი;

ბ) აღმოფხვრას აღმასკომსა და მის განყოფილებებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება;

გ) დააწესოს მკაცრი კონტროლი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების სსრ კავშირის ც. ა. კ-ის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით „მშრომელთა საჩივრების განხილვის საქმის მდგომარეობის შესახებ", გათვალისწინებულ ვადებში განხილვისთვის და აღკვეთოს განყოფილებების მიერ განცხადებათა განხილვის გაჭიანურება და მათთვის ამომწურავი პასუხის დაგვიანებით გაგზავნა;

დ) უზრუნველყოს ზემდგომი ორგანოებიდან და გაზეთის რედაქციებიდან მიღებულ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად შემოწმება და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ პასუხის ვადაზე გაცემა;

ე) მოაწყოს აღმასკომის მისაღებში საბჭოს დეპუტატების მორიგეობა მშრომელთა მიღებისა, მათი განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის და საჭირო დახმარების აღმოჩენისათვის;

ვ) დააწესოს და დაიცვას მთხოვნელთა მიღების დღეები და საათები;

ზ) სისტემატურად შეამოწმოს აღმასკომის განყოფილებებში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა, შემოწმების შედეგები განიხილოს აღმასკომის სხდომაზე და დასახოს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

2. დაევალოს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს (ამხ. ვ. ჩაკვეტაძე) მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცებულ იქნას „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

რედაქტორი—ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული

რედაქტორის მოადგილე—მელითაური გიორგი გიორგის-ძე

სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი—ჩარექიშვილი ოთარ ბაგრატის-ძე

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ქუჩუკაშვილი ვლადიმერ ანდრიას-ძე

ჩიქვანაია ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ნ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 13 აგვისტო.